



№ 01653/31

14/02/2018

**პრეზიდიუმის
გადაწყვეტილება**

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივრის
დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ**

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმი
შემდეგი შემადგენლობით:**

1. ერეკლე მექვაბიშვილი - გენერალური აუდიტორი, პრეზიდიუმის სხდომის თავმჯდომარე;
2. ეკატერინე ლაზაძე - გენერალური აუდიტორის მოადგილე;
3. დავით გოგიჩაიშვილი - გენერალური აუდიტორის მოადგილე;
4. ზაზა შეყილაძე - სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
5. ნოე ქაშიბაძე - აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
6. ვაჟა ბრაგვაძე - თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
7. ირაკლი წიწილაშვილი - ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
8. ფრიდონ შენგელია - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
9. გიორგი მამრიკიშვილი - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
10. ვახტანგ კეჭერაძე - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
11. ნატო ზაალიშვილი - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
12. ზაზა გელაშვილი - გენერალური აუდიტორის მრჩეველი.

საჩივრის ავტორი: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

წარმომადგენელი: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი, არჩილ ვანაძე (პ/N61001032126; მინდობილობა N679, 13.02.2018);

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის შესყიდვების განყოფილების უფროსი, ბაგრატ ხალვაში (პ/N61001010657; მინდობილობა N679, 13.02.2018).

მოწინააღმდეგე მხარე: აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

წარმომადგენელი: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კახაბერ კირტავა;

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის წამყვანი აუდიტორი, ჰენრი სანიკიძე.

დავის საგანი: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2018 წლის 12 იანვარს დამტკიცებული „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის N10/36 ანგარიშის“ 2.1.2 პუნქტი.

აღწერილობითი ნაწილი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმს 2018 წლის 5 თებერვალს N25/2281 საჩივრით მომართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის: N1386/29) და მოითხოვა აუდიტის N10/36 ანგარიშის 2.1.2 პუნქტში ცვლილების განხორციელება, კერძოდ:

ა) საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში (პუნქტი 2.1.2 „საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სამუშაოები“, გვ.16-20) არსებულ ჩანაწერს ელექტრონულ ტენდერში SPA150027381 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების სატენდერო პირობებთან შეუსაბამობის შესახებ, რის გამოც უნდა მომხდარიყო პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

საჩივრის ავტორის განმარტებით, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ პრეტენდენტის სამუშაო გამოცდილების თაობაზე მოთხოვნილი იყო, რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2012 - 2015 წლის პირველ ოქტომბრამდე) შესრულებული ჰქონოდა ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის (საცხოვრებელი სახლების ან/და შენობების მშენებლობა) სამუშაოები, საერთო ღირებულებით არანაკლებ 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ოდენობით. პრეტენდენტს ასევე უნდა წარმოედგინა ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (ხელშეკრულების ასლები, სამუშაოს შესრულების აქტი ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა).

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოებში იგულისხმებოდა საცხოვრებელი სახლების ან/და შენობების მშენებლობა, რომელიც აუცილებელი არ იყო აშენებული ყოფილიყო ფოლადის თხელკედლიანი კონსტრუქციების ტექნოლოგიის გამოყენებით.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ პრეტენდენტის ფილიალი/წარმომადგენლობა „კონვენტ ჯორჯიას“ მიერ ელექტრონული ტენდერის ძირითად დროში წარმოდგენილ იქნა შპს „მექაპოლის 2012“-თან გაფორმებული 2012 წლის 14 აგვისტოს და 2012 წლის 13 ივნისის ხელშეკრულებები და სამუშაოების დასრულების აქტები. წარმოდგენილი ხელშეკრულებების თანახმად, სამუშაოების მოცულობა შეადგენდა: სასტუმრო „რამადაში“ - ლანდშაფტის, საირიგაციო სისტემის, ელექტროობის, წყლისა და კანალიზაციის სისტემების, ჩარჩო სამუშაოების, აუზისა და ფანტანის, სახანძრო უსაფრთხოების სისტემურ სამუშაოებს, ხოლო სასტუმრო „შერატონში“ - ლანდშაფტის, საირიგაციო სისტემის, ელექტროობის, წყლის და კანალიზაციის სისტემების, ჩარჩო სამუშაოების, სახანძრო უსაფრთხოების სისტემურ სამუშაოებს. სატენდერო კომისიამ 2015 წლის 5 ნოემბრის სხდომაზე (N178-2 ოქმი) განიხილა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესრულებული სამუშაოების გამოცდილების შესახებ და ყურადღება გაამახვილა 2012 წლის 13 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების ერთ-ერთ დოკუმენტზე - „ქალაქი ბაქო, სასტუმრო რამადას საფუძვლიანი სარემონტო სამუშაოების საბოლოო ხარჯთაღრიცხვაზე“, რასთან დაკავშირებითაც პრეტენდენტს მოსთხოვა, დაეზუსტებინა აღნიშნული ხელშეკრულებით განხორციელდა მხოლოდ სარემონტო სამუშაოები, თუ ასევე შენობის მშენებლობის სამუშაოები, ვინაიდან დოკუმენტით დასტურდებოდა სარემონტო სამუშაოების შესახებ გამოცდილება, ხოლო ხარჯთაღრიცხვით - შენობის სამონტაჟო სამუშაოები, კერძოდ: ბეტონი 350 მმ განზომილების, ერთეული/რაოდენობა - 3202 კუბ.მ, არმატურა - 32 მმ განზომილების, ერთეული/რაოდენობა - 190 ტონა, არმატურა 28 მმ განზომილების, ერთეული/რაოდენობა - 760 ტონა, არმატურა 16 მმ განზომილების, ერთეული/რაოდენობა - 480 ტონა, არმატურა 12 მმ განზომილების, ერთეული/რაოდენობა - 225 ტონა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტების მიზნით, ფილიალი/წარმომადგენლობა „კონვენტ ჯორჯიამ“ წარმოადგინა დამკვეთის - შპს „მექაპოლის 2012“-ის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში შპს „კონვენტს“ შესრულებული ჰქონდა 7,800,00

AZR (შვიდი მილიონ რვაასი ათასი) ღირებულების სასტუმრო „რამადას“ ბინის სამშენებლო და სრული სარემონტო სამუშაოები.

საჩივრის ავტორი პრეტენდენტის მიერ დამატებით წარმოდგენილ წერილთან (ცნობა) დაკავშირებით არსებულ შეუსაბამობაზე (შეუსაბამობა წერილის ტიტულსა და ბექედს შორის) აღნიშნავს, რომ სატენდერო კომისიის მიერ დასადგენი იყო, ვისთან ჰქონდა გაფორმებული პრეტენდენტს ხელშეკრულება და ვის მიერ იქნა წარმოდგენილი წერილი (ცნობა). საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ წარმოდგენილ წერილს, ისევე, როგორც შპს „მექაპოლის 2012“-თან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, ხელს აწერს ჯეიჰუნ ისლამოვი და დამოწმებულია იდენტური ბექედით. აღნიშნული ცალსახად ადასტურებს, რომ ხელშეკრულებების მხარემ - შპს „მექაპოლის 2012-მა“, მისი დირექტორის, ჯეიჰუნ ისლამოვის სახით, გამოავლინა ნება და დაადასტურა წერილში მითითებული ინფორმაცია. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ წერილის ტიტულზე არსებული კომპანიის დასახელება განსხვავდება ნების გამომვლენი სუბიექტისაგან, სატენდერო კომისიისათვის მნიშვნელოვანი იყო ნების გამომვლენი სუბიექტის ვინაობა და არა ტიტულიანი ფურცლის „მესაკუთრის“ ვინაობა (ტიტულიანი ფურცლის კუთვნილების დადგენა), ვინაიდან ტიტულიანი ფურცელი არ წარმოადგენს ოფიციალურ რეკვიზიტს პირის იდენტიფიცირებისათვის და იგი თავისთავად ვერ იქნება ნების გამოვლინების დამადასტურებელი იმ შემთხვევაშიც, თუკი წერილი იქნება ხელმოწერის/ბექედის გარეშე. შესაბამისად, სატენდერო კომისიის მიერ აღნიშნული დოკუმენტი ჩაითვალა დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელ ცნობად.

ბ) საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში (პუნქტი 2.1.2 „საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სამუშაოები“, გვ.16-20) ასახულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს არ უნდა დაედასტურებინა საავანსო გადახდები (გადახდების ნაწილი) და აღნიშნავს, რომ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სამუშაოებზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და უცხოური საწარმოს ფილიალ „კონვენტ ჯორჯიას“ შორის 2015 წლის 15 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის N268 ხელშეკრულებაში დამატების შესახებ N1 შეთანხმებით (18.01.2016) განისაზღვრა, რომ ხელშეკრულების ფარგლებში საავანსო თანხის ჩარიცხვა უნდა განხორციელებულიყო სპეციალურ ანგარიშზე, საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტიისა და ამ თანხით გასაწევი ხარჯების შესაბამისი ხელშეკრულებების, ინვოისების და სხვა დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ. ამათანავე, შეთანხმებაში ჩაიწერა, რომ ავანსად მიღებული თანხის შემდგომი განკარგვა მიმწოდებელს უნდა განეხორციელებინა მხოლოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის მიერ დამოწმებული საგადახდო დავალების საფუძველზე.

საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში საავანსო ანგარიშსწორების პირობების გათვალისწინება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მონაცემებით, უცხოური საწარმოს ფილიალ „კონვენტ ჯორჯიას“, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, რამდენიმე შემსყიდველთან ჰქონდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები გაფორმებული და მიღებული ავანსები (SPA150011706, SPA150016726, SPA150025367). შესაბამისად, არსებობდა რისკი, რომ მიმწოდებლის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანხები გამოყენებულიყო სხვა შემსყიდველებთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესასრულებლად.

საჩივრის ავტორი ასევე განმარტავს, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ავანსის ჩარიცხვამდე მიმწოდებლის ხელშეკრულებების, ინვოისებისა და სხვა დოკუმენტაციის მოთხოვნა ხდებოდა არა მათი მიზანშეწონილობისა და შესაბამისობის შემოწმების მიზნით, არამედ ავანსის თანხების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით გათვალისწინებული პროექტისათვის საჭიროების რწმუნების მისაღებად. საჩივრის ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ ავანსის თანხის მიმწოდებლის ანგარიშზე ჩარიცხვის შემდგომ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის ფუნქციას და უფლებამოსილებას წარმოადგენდა საგადახდო დავალების დამოწმება, რათა გამორიცხულიყო მიმწოდებლის მიერ ავანსად მიღებულ თანხის სხვა დანიშნულებით გამოყენების რისკი.

საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოებში მიმდინარეობს გამოძიება და მის დასრულებამდე დასკვნების გაკეთება მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ იქნა მოსაზრებები ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივართან დაკავშირებით, რომლის მიხედვით საჩივრის მოთხოვნა აუდიტის ანგარიშის 2.1.2 პუნქტის შეცვლის თაობაზე დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საჩივრის გაცნობის, საქმეში არსებული მასალების შესწავლისა და შემოწმების, გამოცხადებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების, ფაქტობრივი და სამარტლებრივი გარემოებების შეფასების, ამ გარემოებათა ურთერთშეჯერების, საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გაანალიზებით, პრეზიდენტის მიერ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2018 წლის 5 თებერვალს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი N25/2281 საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის: N1386/29) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) სატენდერო პირობების შეუსაბამოდ პრეტენდენტის შერჩევის საკითხთან დაკავშირებით (აუდიტის ანგარიშის პუნქტი 2.1.2 „საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სამუშაოები“ გვ.16-20) პრეზიდენტის მიუთითებს, რომ არ არსებობს ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან, არც აუდიტის პროცესში და არც საჩივრის განხილვისას, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულება ელექტრონულ ტენდერში SPA150027381 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების სატენდერო პირობებთან შესაბამისობის თაობაზე.

პრეზიდენტის მიუთითებს, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის 2015 წლის 5 ნოემბრის N178-2 ოქმის თანახმად, წარმოდგენილი ხელშეკრულებებით პრეტენდენტს შესრულებული აქვს ძირითადად სარეკონსტრუქციო სამუშაოები და არ იკვეთება უშუალოდ მშენებლობის სამუშაოები. სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე მიუთითებს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის სახელწოდებაც - „ქალაქი ბაქო, სასტუმრო რამადას საფუძვლიანი სარემონტო სამუშაოების საბოლოო ხარჯთაღრიცხვა“, რომელშიც ასევე მოცემულია ინფორმაცია სამონტაჟო სამუშაოების შესრულების შესახებ. აქედან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებდა, თუ რა სახის სამუშაოები იქნა განხორციელებული აღნიშნული ხელშეკრულებით - მხოლოდ სარემონტო სამუშაოები, თუ ასევე შენობის მშენებლობის სამუშაოები. შესაბამისად, პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა აღნიშნულის შესახებ განმარტება და დამადასტურებელი დოკუმენტაცია შენობის მშენებლობის თაობაზე. სატენდერო კომისიის ოქმის შესაბამისად, დამატებით მოთხოვნილი, გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტად პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი იქნა შპს MEGAPOLIS-2012-ის ტიტულოვან ბლანკზე დაბეჭდილი ჯეიჰუნ ისლამოვის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2012 წლის 16 ივნისს დადებული ხელშეკრულების თანახმად, შპს „კონვენტმა“ შეასრულა სასტუმრო „რამადას“ ყველა სამშენებლო და სრული სარემონტო სამუშაოები ღირებულებით 7,800,000 აზერბაიჯანული მანათი. წარმოდგენილი წერილი შეიცავდა მკვეთრად გამოხატულ შეუსაბამობებს, რაც წერილის ნამდვილობას საეჭვოს ხდიდა. კერძოდ, პრეტენდენტის მიერ დაზუსტების მიზნით დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტის ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი) და ასევე წერილის ტექსტში კომპანია სხვადასხვა სახელწოდებებითაა მითითებული. სუბკონტრაქტის ხელშეკრულების მხარეა MEQAPOLIS-2012, თუმცა წერილის ბლანკზე აღნიშნულია MEGAPOLIS-2012, წერილის ტექსტში კი - MEGA - POLIS 2012. ასევე, სუბკონტრაქტის ხელშეკრულების გაფორმების თარიღად წერილის ტექსტში ნაცვლად 2012 წლის 13 ივნისისა, მითითებულია 2012 წლის 16 ივნისი. აღნიშნული შეუსაბამობები სატენდერო კომისიის მსჯელობის საგანი არ გამხდარა.

სატენდერო კომისიამ „ქალაქი ბაქო, სასტუმრო რამადას საფუძვლიანი სარემონტო სამუშაოების საბოლოო ხარჯთაღრიცხვაში“ მითითებული ბეტონის და არმატურის მოცულობაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ სუბკონტრაქტის ხელშეკრულებასა და კონტრაქტის შესრულების სერტიფიკატში აღნიშნული ჩარჩო სამუშაოები (Framework Jobs) წარმოადგენდა შენობის მშენებლობის სამუშაოებს. პრეზიდენტის ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან ხარჯთაღრიცხვაში მოცემული ინფორმაცია ვერ ასაბუთებს უშუალოდ შენობის მშენებლობის გამოცდილების არსებობას. კერძოდ, ხარჯთაღრიცხვაში არ არის გათვალისწინებული შენობის საძირკვლის მოწყობის და გადახურვის

სამუშაოები, ასევე დგინდება, რომ სამუშაოებში საერთოდ არ იყო გამოყენებული სამშენებლო ბლოკი, აგური და ა. შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ დასტურდება შპს „კონვენტის“ მიერ სასტუმრო „რამადას“ სამშენებლო სამუშაოების ჩატარების ფაქტი, დგინდება მხოლოდ ისეთი საფუძვლიანი სარემონტო სამუშაოების ჩატარება, როგორცაა, კონტრაქტის შესრულების სერტიფიკატში მითითებული ლანდშაფტის, სარწყავი და საირიგაციო სისტემის, აუზის, შადრევნისა და სხვა სამუშაოები.

პრეზიდენტი ასევე მიუთითებს, რომ „კონვენტ ჯორჯიას“ არ აქვს სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური პირობებით გათვალისწინებული მსუბუქი ფოლადის თხელკედლიანი კონსტრუქციების ტექნოლოგიის გამოყენებით შენობა-ნაგებობების მშენებლობის გამოცდილება და შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, სატენდერო კომისიას უნდა ემსჯელა პრეტენდენტის მიერ სატენდერო პირობების შესრულების შესაძლებლობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან „კონვენტ ჯორჯია“, როგორც თავდაპირველად ატვირთული, ისე დაზუსტებული დოკუმენტაციით, ვერ აკმაყოფილებდა სატენდერო პირობებს, პრეზიდენტი დასაბუთებულად მიიჩნევს აუდიტის ანგარიშში მოცემულ მსჯელობას პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესახებ.

ბ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის მიერ საავანსო გადახდების ავტორიზაციის საკითხთან დაკავშირებით (აუდიტის ანგარიშის პუნქტი 2.1.2 „საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სამუშაოები“, გვ.16-20) პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ არ არსებობს ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან 2016 წლის 18 იანვრის მხარეთა შეთანხმებიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის მხრიდან ავტორიზაციის მიზანს წარმოადგენდა ავანსად მიღებული თანხების შემდგომი განკარგვის უზრუნველყოფა და მიმწოდებლის მიერ ავანსად მიღებული თანხების მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N268 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად გამოყენება.

ეფექტიანი კონტროლის უზრუნველსაყოფად, N1 შეთანხმების (18.01.2016) პირველი პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია „ავანსის თანხის განკარგვის შემდგომი კონტროლის განხორციელების მიზნით, წარუდგინოს შემსყიდველს ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია“. მიუხედავად იმისა, რომ შემსყიდველს/შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს ჰქონდა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, ავანსად მიღებული თანხების შემდგომი განკარგვის დამოწმება ხდებოდა დოკუმენტების შინაარსის გათვალისწინების გარეშე. მაგალითად, შემსყიდველისთვის წარდგენილი ნარდობის ხელშეკრულებით (Договор подряда N101115, 10.11.2015), წინასწარი ანგარიშსწორების მოცულობა შეადგენდა 600,000 ლარს, შემდგომი 630,000 ლარის გადახდა უნდა განხორციელებულიყო საქონლის მიწოდების შემდეგ, სამონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება - შესრულებული სამუშაოს აქტის მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში. აქედან გამომდინარე, სამონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს არ უნდა დაედასტურებინა 600,000 ლარზე მეტი თანხის გადახდა, თუმცა დადასტურებულ იქნა 1,061,000 ლარის საავანსო გადახდა.

პრეზიდენტი მიუთითებს, რომ საჩივარში აღნიშნული განმარტება, რომლის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ავანსის ჩარიცხვამდე დოკუმენტაციის მოთხოვნა ხდებოდა არა მიზანშეწონილობის და შესაბამისობის შემოწმების მიზნით, არამედ შესაბამისი რწმუნების მისაღებად (მიმწოდებელს ავანსის თანხები ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით გათვალისწინებული პროექტისთვის სჭირდებოდა თუ არა), უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან საავანსო გადახდისთვის წარდგენილი დოკუმენტაციის (მიმწოდებლის ხელშეკრულებების, ინვოისების და სხვ) შინაარსის შესწავლის, კონკრეტულ სახელმწიფო შესყიდვასთან კავშირის დადასტურებისა და გადახდის საჭიროების შეფასების გარეშე, არ არსებობს შესაბამისი რწმუნების მიღების შესაძლებლობა.

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ სწორედ არასათანადო დამოკიდებულების შედეგია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის დამოწმებით ფინანსური გარანტიის სადაზღვევო პრემიის სახით 282,809 ლარის გადარიცხვა შპს „გლობალ დეველოპმენტ კონსალტინგისთვის“, რომელიც არ წარმოადგენდა გარანტიის გამცემ (გარანტორი) კომპანიას და N268 ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით ასეთი ხარჯი საერთოდ არ იყო გათვალისწინებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდენტი ასევე აღნიშნავს, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი მუშაკების მიერ მათზე დაკისრებული

მოვალეობების შესაბამისი შესრულებისა და მუნიციპალიტეტის ინტერესების სათანადო დაცვის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შემცირდებოდა ავანსად გადახდილი თანხების არამიზნობრივი ხარჯვა და შესაბამისად, მათი დაკარგვის რისკები.

სარეზოლუციო ნაწილი:

იხელმძღვანელა რა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტით და 29-ე მუხლის პირველი პუნქტით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის N14/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ მე-9 მუხლის მე-12 პუნქტით,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმმა

გადაწყვიტა:

უარი ეთქვას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2018 წლის 5 თებერვლის N25/2281 საჩივრის (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის: N1386/29) დაკმაყოფილებაზე და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2018 წლის 12 იანვარს დამტკიცებული „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის N10/36 ანგარიში“ დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
გენერალური აუდიტორი,
პრეზიდიუმის სხდომის თავმჯდომარე

ერეკლე მექვაბიშვილი

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი

